

კავშირი მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერას, ცხოვრებით
კმაყოფილებასა და თვითშეფასებას შორის

ნინო ბუწაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, PhD.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში ფსიქოლოგიური მორგების ორი ცვლადი: ცხოვრებით კმაყოფილება და თვითშეფასება დაუკავშირდა მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერას. ოლპორტის და სხვა მკვლევრების თეორიული დაშვებიდან გამომდინარე ამ ცვლადებს შორის უნდა დაფიქსირებულიყო დადებითი ურთიერთკავშირი. ეს ჰიპოთეზა გადამოწმდა კორელაციური კვლევით, რომელშიც 209 ეთნიკურად ქართველმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის შედეგებმა არ დაადასტურა საკვლევი ჰიპოთეზა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია არ დაფიქსირდა არც მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერას და ცხოვრებით კმაყოფილებას და არც მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერასა და თვითშეფასებას შორის, რაც სხვა ცვლადების გავლენით შეიძლება აიხსნას. კვლევაში, ასევე, ნაჩვენებია ამ ცვლადების არა ექსპლიციტური ტესტებით, არამედ იმპლიციტური კვლევებით შესწავლის მნიშვნელობაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა, ცხოვრებით კმაყოფილება, თვითშეფასება, ფსიქოლოგიური მორგება.